საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1 " 11 " თებერვალი 2019 წ.

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე რეკომენდაციის მიზანია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის №1/162 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის" 5.4.1. პროგრამით (საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სასამართლოს საქმიანობის შესახებ) გათვალისწინებულ აქტივობათა შესრულების ხელშეწყობა, სასამართლოს გადატვირთულობისაგან დაცვა, ეფექტური მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველყოფა, დაინტერესებულ პირთათვის თანმიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევის რეგულირება.

მუხლი 2. უფასო იურიდიული კონსულტაცია

1. ამ რეკომენდაციით გათვალისწინებული მიზნებისათვის, რაიონული (საქალაქო) სასამართლოები წელიწადში არანაკლებ ორჯერ უზრუნველყოფენ უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევას, რის შესახებაც ინფორმაცია არანაკლებ 5 დღით ადრე ქვეყნდება შესაბამისი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. დაინტერესებულ პირთათვის უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევას ახორციელებს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შექმნილი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სასამართლოს მენეჯერი, მთავარი კონსულტანტი-მოსამართლის თანაშემწე, მოსამართლის თანაშემწე, სხდომის მდივანი და კანცელარიის სპეციალისტი.

3. უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევა ხორციელდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში.

4. უფასო იურიდიული კონსულტაციის მიზანია:

ა) საზოგადოებასა და სასამართლოს შორის პირდაპირი ურთიერთობის დამყარების გზით სასამართლოს მოქმედების ფარგლების თაობაზე მცდარი წარმოდგენების პრევენცია;

ბ) სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება;

გ) დაინტერესებული პირების სამართლებრივი დახმარებით უზრუნველყოფა.

5. უფასო იურიდიული კონსულტაციის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) სასამართლოს განსჯადობისა და საკითხის განხილვაზე უფლებამოსილ სუბიექტთა შესახებ;

ბ) დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების უპირატესობის შესახებ;

გ) მოწმის, ექსპერტის, ნაფიცი მსაჯულის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;

დ) განრიდების, მედიაციის, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის არსის შესახებ;

ე) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის სპეციფიკის შესახებ;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობის შესახებ;

ზ) სამართალწარმოების პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

6. უფასო იურიდიული კონსულტაციის ფარგლებში გაცემული ინფორმაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც სასამართლოს პოზიცია კონკრეტულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს და არ შეიძლება სამართალწარმოების პროცესში მიეცეს მტკიცებულებითი ძალა.

მუხლი 3. ანგარიშვალდებულება

1. გაწეული უფასო იურიდიული კონსულტაციის თაობაზე ინფორმაცია განთავსდება შესაბამისი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, რაიონული (საქალაქო) სასამართლო უზრუნველყოფს გაწეული უფასო იურიდიული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის მედიასაშუალებების მეშვეობით გავრცელებას.

3. რაიონული (საქალაქო) სასამართლო გაწეული უფასო იურიდიული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციას ყოველი წლის ბოლოს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი